# ხელშეკრულება №11
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
## *(მომსახურების შესყიდვა)*

ქ. ცაგერი 03 მაისი 2016 წელი

ერთის მხრივ, ცაგერის მუნიციპალიტეტის ააიპ ცაგერის ისტორიული მუზეუმი (შემდგომში- შემსყიდველი) ცაგერის მუნიციპალიტეტის ააიპ ცაგერის ისტორიული მუზეუმის დირექტორი ნ. კობალიანი სახით და მეორეს მხრივ ფ/პ „გიორგი ახვლედიანი" (შემდგომში – მიმწოდებელი) გიორგი ახვლედიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ცაგერის მუნიციპალიტეტის ააიპ ცაგერის ისტორიული მუზეუმის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გამოყოფილი თანხებით სოფ. ლაილაშის ტერიტორიაზე, არქეოლოგიური აღმოჩენების მიზნით, მიწის სათხრის გათხრისა და გადატანითი სამუშაოები (კლასიფიკატორის კოდი 45112000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია ცაგერის მუნიციპალიტეტის ააიპ ცაგერის ისტორიული მუზეუმისათვის არქეოლოგიური აღმოჩენების მიზნით, მიწის სათხრის გათხრისა და გადატანითი სამუშაოები.

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება საჭიროებისამებრ, შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

3.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 325 (სამას ოცდახუთი) ლარს.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს, დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს და საქართველოში მოქმედ სტანდარტებს.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 17 მაისამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ცაგერი.

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც დაადასტურებენ შემსყიდველის და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს ხუთი საბანკო დღის ვადაში.

7.3. ანგარიშსწორების ადგილია ქალაქი ცაგერი.

### 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მიაწოდოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2016 წლის 17 მარტამდე;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

## *10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 17 ივნისამდე.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *12. დაუძლეველი ძალა*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამხედრო მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, ურთიერთისაგან ზარალის მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

242574647

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ურთიერთი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ცაგერის მუნიციპალიტეტის ააიპ ცაგერის ისტორიული მუზეუმის დირექტორი ნ. კობალიანი, ააიპ ცაგერის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი თამარ მინდიაძე, ააიპ ცაგერის ისტორიული მუზეუმის შესყიდვების სპეციალისტი თეა ბურჯვალაძე და ააიპ ცაგერის ისტორიული მუზეუმის ადმინისტრატორი დავით ხადიბაძე.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

ცაგერის მუნიციპალიტეტის ააიპ ცაგერის ისტორიული მუზეუმი
მისამართი
ქ. ცაგერი რუსთაველის ქ.№64
ს/ს „ლიბერთი ბანკის"
ცაგერის ფილიალი
ბ/კოდი: 220 101 447
ა/ა № GE67LB0115171479053000
ს/კოდი: 242574647

**მიმწოდებელი:**

ფ/პ „გიორგი აბულაძე"
მისამართი
ქ. ცაგერი
ს/ს „ლიბერთი ბანკის"
ცაგერის ფილიალი
ბ/კოდი: 220 101 447
ა/ა № GE05LB0711166454150000
ს/კოდი: 49001015644

## 17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

ცაგერის მუნიციპალიტეტის ააიპ ცაგერის ისტორიული მუზეუმის

დირექტორი

ნ. კოპალიანი

მიმწოდებელი:

ფ/პ „გიორგი ახვლედიანი"

გ. ახვლედიანი